საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/5448
31/10/2025

5448-01-2-202510311621

ლევან-მიხეილ მგალობლიშვილს

მის: [illegible]

ტელ: [illegible]

ბატონო ლევან-მიხეილ,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო) შემოსულია თქვენი 2025 წლის 25 სექტემბრის №01/5693 განცხადება, მოვაჭრის - სს „სუფთა სახლის“ (ს/ნ 202458893) (შემდგომში-მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლებამოსილია საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვოს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია).ასევე, პროცედურის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს ფიზიკური ან/და იურიდიული პირისგან გამოითხოვოს საქმის შესწავლისათვის საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 22 ოქტომბრის №01/6292 წერილით, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მოვაჭრემ სააგენტოში წარმოადგინა პოზიცია, რომლის მიხედვითაც: ,,სს „სუფთა სახლი“ (შემდგომში „კომპანია“) გამოირჩევა ხარისხიანი, სანდო და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული პროდუქციის რეალიზაციით. კომპანიისთვის პროდუქციის მიწოდება ხორციელდება სანდო და გამოცდილ სადისტრიბუციო კომპანიათა მიერ, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის, სერტიფიცირებული პროდუქციის მოწოდებას. სწორედ ერთ-ერთი მათგანია შპს "ჯიემ გრუპი", რომელიც გვაწვდის

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

განმცხადებლის მიერ ნახსენებ “BAGI”- ს სხვადასხვა დასახელების პროდუქციას.“ ასევე, მოვაჭრემ წარმოადგინა შპს „ჯიემ გრუპი“-ს მიერ მოწოდებულ სერტიფიკატები და მათი პოზიციას ზემოაღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან **10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოთ პოზიცია და დამატებითი სარწმუნო მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდება, რომ სს „სუფთა სახლის“ პროდუქცია არის ნაკლიანი.**

დანართის სახით გიგზავნით სს „სუფთა სახლის“ 2025 წლის 22 ოქტომბრის №01/6292 წერილს.

დანართი: „5“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი